სსიპ კოლეჯ „მოდუსში“ „მსუბუქი ავტომობილების ელექტრო და ელექტრონული სისტემის შეკეთების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნინო ვასაძე

წევრები: ვალერი ჯაჯანიძე

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ კოლეჯი მოდუსი

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 216350829

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☒ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

—

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 11 იანვრის N 13632 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს, შემადგენლობით: თავმჯდომარე - ნინო ვასაძე, წევრი - ვალერი ჯაჯანიძე დაევალა ვიზიტი სსიპ კოლეჯ „მოდუსში“, მისამართი: (ქ. რუსთავი, ჟ.შარტავას. გამზ. N4).მიმდინარე წლის 30 იანვარს, "მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრული სტანდარტის შემოწმების მიზნით. ვიზიტის განხორციელებამდე შესწავლილ იქნა დაწესებულების მიერ გამოგზავნილი დოკუმენტაცია: საგანმანათლებლო პროგრამა, სამართლებრივი დოკუმენტაცია, რომლითაც რეგულირდება კოლეჯის საქმიანობა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის შემდეგ დაიგეგმა ვიზიტის დღის წესრიგი დაწესებულებასთან. ვიზიტის დროს გავესაუბრეთ კოლეჯის დირექტორს, ხარისხის მართვის მენეჯერს, სასწავლო პროცესის მენეჯერს, ბიბლიოთეკარს, პროგრამის ხელმძღვანელს, განმახორციელებელ პირებს. დავათვალიერეთ მატერიალური რესურსი-A გარემო, B-C გარემო,ბიბლიოთეკის სამუშაო სივრცე და წიგნადი ფონდი, რაც აუცილებელია პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. შესაბამისობის შემოწმების მიზნებისთვის, „პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის" მე-14 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, წარმოების ფარგლებში ექსპერტებმა მიზანშეწონილად მიიჩნიეს ვიზიტის მიმდინარეობისას დამატებითი დოკუმენტების გამოთხოვა დაწესებულებიდან, რაც უზრუნველყოფილი იქნა დაწესებულების მიერ.
დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომლის გაცნობის შემდეგაც შეიცვალა ესპერტთა შეფასება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

დაწესებულება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, ზრდის პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობას და აქტიურად არის ჩართული პრობაციის სააგენტოს პროექტებში.

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

არ ყოფილა.

VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

არ დაფიქსირებულა.

VII. რეკომენდაციების შეჯამება

2.1.1.1 <u>რეკომენდირებულია მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტი მოიცავდეს ინფორმაციას ჩატარებული კვლევის და მისი შედეგების შესახებ.</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

2.2.1.2 <u>რეკომენდირებულია მოხდეს ტექნიკური უცხო ენის მოდულზე განმახორციელებლების დუბლირება და დაემატოს პროფესიული მოდულის განმახორციელებელი პირი, რომელსაც ექნება დარგის შესაბამისი კვალიფიკაცია.</u>

VII. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

პროგრამის სახელწოდება	მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია მსუბუქი ავტომობილის შეკეთებაში
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0716
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	ბრძ. N 370, 19.12.22
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ქ. რუსთავი, ჟ.შარტავას. გამზ. N4
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	30
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	82
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	97

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამის განხორციელების რესურსი	სრული 3	მეტწილი 2	მეტწილი 2	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	სრული 3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

სტანდარტის შეფასება

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტში განხილულია საჭირო მატერიალური და ადამიანური რესურსები, ასევე აღნიშნულია, რომ კოლეჯი წლების განმავლობაში ახორციელებს მსუბუქი ავტომობილის სავალი ნაწილის და ძრავის შემკეთებლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და ამ მიმართულებით დამსაქმებელთა მოთხოვნის საფუძველზე კოლეჯში შემუშავდა და განახორციელდა მოკლევადიანი მომზადების სასწავლო კურსები. მიზანშეწონილობის დასაბუთებაში არ ჩანს რამდენმა გაიარა აღნიშნული კურსები და მათგან რამდენი დასაქმდა შესაბამისი მიმართულებით. დოკუმენტის თანახმად, კოლეჯმა ჩაატარა კვლევა. გამოკითხული ორგანიზაციებიდან დამსაქმებელთა 30%-მა გამოხატა სურვილი ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“ დამატების თაობაზედ. დასაბუთების დოკუმენტი არ მოიცავს ინფორმაციას ჩატარებული კვლევის შესახებ, სულ რამდენი ორგანიზაცია გამოიკითხა, სად მდებარეობს აღნიშნული ორგანიზაციები. ასევე გამოიკითხა თუ არა პოტენციური სტუდენტები, რამდენი ისურვებდა აღნიშნულ პროგრამაზე სწავლას. კოლეჯის პროფორიენტაციის და კარიერული დაგეგმვის მენეჯერმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ აღნიშნულ პროგრამაზე სწავლის სურვილი გამოთქვა პოტენციურ სტუდენტთა 20%-მა, როდესაც მათ ხვდებოდნენ კოლეჯის წარმომადგენლები. ასევე კოლეჯი აწარმოებს ბაზას და უტარებს გამოკითხვას სხვადასხვა ჯგუფებს. ვიზიტისას წარმოდგენილ იქნა ფორმსის კითხვარის შედეგები და ანალიზი, რომლის მიხედვითაც აღნიშნული პროგრამა მოთხოვნადია. კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმის სტრატეგიული მეორე მიზნის მეორე ამოცანა გახლავთ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატება. კოლეჯს განსაზღვრული აქვს მისია, რომლის თანახმადაც იგი წარმოადგენს მრავალპროფილურ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომლისთვისაც პრიორიტეტულია ინოვაციური მეთოდების დანერგვა სწავლებაში, გამოყენებადი ცოდნა-უნარების მიწოდება პროფესიული განათლების მსურველთათვის და შრომის ბაზარზე მოთხოვნადი, კვალიფიციური კადრების მომზადება, როგორც გრძელვადიანი ისე მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებით. **ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.**

ექსპერტთა განმავითარებელი რეკომენდაციაა, მიზანშეწონილობის დასაბუთების დოკუმენტი მოიცავდეს ინფორმაციას ჩატარებული კვლევის და მისი შედეგების შესახებ.

2. კოლეჯ მოდუსის დირექტორის 2022 წლის 19 დეკემბრის #370 ბრძანებით დამტკიცებულ „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“ მესამე დონის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია საბაზო განათლება. აღნიშნული წინაპირობა თანხვედრაშია ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ დაშვების წინაპირობასთან. კოლეჯ მოდუსის დირექტორის 2021 წლის 23 აგვისტოს „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ აპლიკანტთა შერჩევის წესის, კრიტერიუმების და ფორმების დამტკიცების შესახებ“ #219 ბრძანებით, რომელიც შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის “პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ” 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, რეგულირდება სტუდენტთა მიღების პროცედურები . აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით ქმნის შესარჩევ კომისიას. კომისია ვალდებულია საგანმანათლებლო პროგრამაზე უზრუნველყოს ისეთ პირთა დაშვება, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას. შესარჩევი კომისია,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიდან გამომდინარე, გასაუბრების, შემოქმედებითი ტურის და შემთხვევის განხილვის (ქეისი) დროს მიღებული შეფასების საფუძველზე მართვის სისტემის მიერ შედგენილ ფორმაში ადგენს რეიტინგულ სიას და რომელიც მტკიცდება დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“ კურსდამთავრებულისთვის განსაზღვრულია შემდეგი სწავლის შედეგები: წაიკითხოს ელექტრონული ნახაზები; გამოიყენოს სარჩილავი სადგური; განახორციელოს საჭის მექანიზმის ელექტრონული მართვის სისტემების სერვისი; განახორციელოს ძრავას ჰაერით და საწვავით კვების ელექტრონული სისტემების სერვისი; განახორციელოს ძრავას შეზეთვა-გაგრილების ელექტრონული სისტემების სერვისი; განახორციელოს უსაფრთხოებისა და გატაცების საწინააღმდეგო სისტემების სერვისი. აღნიშული სწავლის შედეგების მიღწევა სავსებით შესაძლებელია საბაზო განათლების მქონე პირისთვის. **ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.**

3. კოლეჯ „მოდუსის“ დირექტორის 2021 წლის 12 ნოემბრის #346 ბრძანებით დამტკიცებულია „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამზე მისაღები კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, ცვლილება 2022 წლის 22 მაისის #138 ბრძანება. აღნიშნული ბრძანების დანართის მეხუთე პუნქტის თანახმად, A სასწავლო გარემო ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში დატვირთულია საშუალოდ 50%- ით, რაც დაწესებულებას აძლევს ერთ ცვლაში მიიღოს A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების ორმაგი, ხოლო ორ ცვლაში მუშაობის გათვალისწინებით ოთხმაგი რაოდენობა, B სასწავლო გარემო კი ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში დატვირთულია საშუალოდ 5%-ით, რაც დაწესებულებას საშუალებას აძლევს ერთ ცვლაში მიიღოს B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების ოცმაგი, ხოლო ორ ცვლაში მუშაობის გათვალისწინებით ორმოცმაგი რაოდენობა. აღნიშნული წესის მე-14 მუხლში წერია, რომ ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მეთოდოლოგიაში გათვალისწინებული უნდა იყოს შემთხვევა, როდესაც ერთიდაიგივე გარემო რამდენიმე პროგრამისათვის გამოიყენება. ასეთ შემთხვევაში გარემოს დატვირთვის რესურსი უნდა გადანაწილდეს ყველა პროგრამაზე. დაწესებულებას „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“ პროფესიულ საგანამანათლებლო პროგრამაზე განსაზღვრულია აქვს 30 პროფესიული სტუდენტის მიღება ორ ცვლაში. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება მოცემულია პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუტების დოკუმენტში და შეესაბამება კოლეჯის მიერ შემუშავებულ წესს. **ექსპერტთა შეფასებით, პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.**

4. წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,მსუბუქი ავტომობილების ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ სტრუქტურის განხილვის შედეგად გამოიკვეთა, რომ ვერ მოხერხდება პროგრამით განსაზღვრული საერთო სწავლის შედეგებში არსებული ორი შედეგის ,,შეარჩიოს სათადარიგო ნაწილები და დაიცვას საგზაო მოძრაობის წესები“ მიღწევა, შესაბამისად გაიცა სიტყვიერი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

რეკომენდაცია, რომ ან დაუმატოს საგანმანათლებლო პროგრამას შესაბამისი მოდულები, ან ამოიღოს აღნიშნული სწავლის შედეგები, დაწესებულებამ განმარტა, რომ მათ იხელმძღვანელეს ჩარჩო დოკუმენტში არსებული საერთო სწავლის შედეგების მიხედვით, რაც რეალურად აღმოჩნდა შეცდომაში შემყვანი. პსდ გაითვალისწინა აღნიშნული ექსპერტთა რეკომენდაცია და მოახდინა პროგრამების მოდიფიცირება, დირექტორის 2023 წლის 30 იანვრის #26 ბრძანება. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საჭირო მატერიალური რესურსი სრულად შეესაბამება სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო აღჭურვილობის მახასიათებლებს და შესაბამისად უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, აღნიშნული რესურსი კოლეჯის საკუთრებას წარმოადგენს და სრულად იქნება გამოყენებული სასწავლო მიზნებისთვის. უნდა აღინიშნოს, რომ მატერიალური რესურსის მრავალფეროვნების მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმი პარტნიორ ორგანიზაციებთან, კერძოდ შპს ,,უნი მოტორსთან“ 02.12.2022 წ. და შპს ,,ავტოტექნოსთან“ 30.11.2022 წ.. რაც შეეხება სასწავლო რესურსს, საერთო პროფესიული, პროფესიული და კონცენტრაციის მოდულების სასწავლო რესურსი შეუსაბამოა მოდულის თემატიკასთან, კერძოდ საერთო პროფესიულ და პროფესიული მოდულებზე ,,ავტოსატრანსპორტო საშუალებების კლასიფიკაცია“, ,,შიდა წვის ძრავების კლასიფიკაცია“ მიწერილი ლიტერატურარა ,,ავტომობილის რემონტის საფუძვლები, ვ.ჯაჯანიძე“, ,,ავტომობილის შასის მოწყობილობა - ჯ.იოსებიძე, დ.ფრიდონაშვილი“, ,,ავტომობილების სერვისის ოპერაციული სისტემების სრულყოფა - 2013 წ. მ. ზურიკაშვილი“ და ,,ავტომობილის სათადარიგო ნაწილების ლექსიკონი, 2016წ.“ ვერ უზრუნველყოფს წარმოდგენილი მოდულების თემატიკის დაფარვას და შესაბამისად შედეგებზე სტუდენტის გასვლას, პროგრამით განსაზღვრული კონცენტრაციის 14 მოდულიდან 12 მოდულის შესწავლისათვის გამოიყენება იგივე ლიტერატურა - ,,ავტომობილის რემონტის საფუძვლები, ვ.ჯაჯანიძე“, ,,ავტომობილის შასის მოწყობილობა - ჯ.იოსებიძე, დ.ფრიდონაშვილი“, ,,ავტომობილების სერვისის ოპერაციული სისტემების სრულყოფა - 2013 წ. მ. ზურიკაშვილი“, მოდულების თემატიკიდან გამომდინარე, რომელიც ავტომობილის ელექტრული მოწყობილობებისა და ელექტრონული მართვის სისტემის დიაგნოსტიკასა და შეკეთებას მოიცავს, შეუძლებელია წარმოდგენილი ლიტერატურით აღნიშნული თემატიკის დაფარვა, რამდენადაც სახელმძღვანელოში 1. ,,ავტომობილის რემონტის საფუძვლები, ვ.ჯაჯანიძე“ ძირითადად აღწერილია ავტომობილის კაპიტალური რემონტის ზოგადი ტექნოლოგია და ძრავას რემონტის სრული ტექნოლოგიური ციკლი; სახელმძღვანელოში 2. ,,ავტომობილის შასის მოწყობილობა - ჯ.იოსებიძე, დ.ფრიდონაშვილი“, აღწერილია ავტომობილის შასის მხოლოდ კონსტრუქციული ნაწილი და შეხება არ აქვს სერვისის სამუშაოებთან, ხოლო 3. სადისერტაციო ნაშრომი ,,ავტომობილების სერვისის ოპერაციული სისტემების სრულყოფა - 2013 წ. მ. ზურიკაშვილი“ წარმოადგენს დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად დამუშავებულ კვლევას ავტომობილის საიმედოობის მართვის კონკრეტული მიმართულებით, რაც შეუძლებელს ხდის აღნიშნული ნაშრომის გამოყენებას სახელმძღვანელოდ. გამონაკლისს წარმოადგენს ორი მოდული ,,სარჩილავი სადგურის გამოყენება“ და ,,ელექტროტექნიკური ნახაზების წაკითხვა“, რომლებიც თემატიკის შესაბამისი ლიტერატურით არიან წარმოდგენილი. ზემოთქმულის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

გათვალისწინებით **ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საგანმანათლებლო რესურსი ვერ უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.**

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირებისას წარმოდგენილ იქნა განახლებული სასწავლო გეგმა თავისი დანართებით და მათ საკუთრებაში არსებული სასწავლო რესურსი - სახელმძღვანელოები: 1. თეიმურაზ გელაშვილი; დავით ძოწენიძე; ნოდარ ხარაზიშვილი; ზურაბ ბოგველიშვილი - ელექტროობის საფუძვლები და ავტომობილების ელექტრომოწყობილობა, 2016წ.; 2. თეიმურაზ გელაშვილი; დავით ძოწენიძე; ნოდარ ხარაზიშვილი; ვ.ჯაჯანიძე -ავტმობილის ტექნიკური სისტემის კომპიუტერული მართვა და დიაგნოსტიკა, 2017წ.; 3. ჯ.იოსებიძე, დ. ფრიდონიშვილი, ალ.ჩხეიძე, ო. ხახლოვი -საავტომობილო შიგაწვის ძრავების მოწყობილობა, 2017წ.; 4. ფრიდონაშვილი, დ; იოსებიძე. ჯ. საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებების ზოგადი კურსი. (ლექციების კონსპექტი) თბილისი, 2012 წ. მოცემული სახელმძღვანელოები სრულად ფარავენ მოდულების თემატიკას, კერძოდ: მოდულებზე ,,ავტოსატრანსპორტო საშუალებების კლასიფიკაცია", ,,შიდა წვის ძრავების კლასიფიკაცია" გაწერილია შემდეგი ლიტერატურული რესურსი - ჯ.იოსებიძე, დ. ფრიდონიშვილი, ალ.ჩხეიძე, ო. ხახლოვი - საავტომობილო შიგაწვის ძრავების მოწყობილობა, 2017წ.; ფრიდონაშვილი, დ; იოსებიძე. ჯ. საავტომობილო სატრანსპორტო საშუალებების ზოგადი კურსი. (ლექციების კონსპექტი) თბილისი, 2012 წ., ხოლო კონცენტრაციის მოდულების თემატიკას სრულად შეესაბამება შემდეგი ლიტერატურული რესურსი: თეიმურაზ გელაშვილი; დავით ძოწენიძე; ნოდარ ხარაზიშვილი; ზურაბ ბოგველიშვილი - ელექტროობის საფუძვლები და ავტომობილების ელექტრომოწყობილობა, 2016წ.; თეიმურაზ გელაშვილი; დავით ძოწენიძე; ნოდარ ხარაზიშვილი; ვ.ჯაჯანიძე -ავტმობილის ტექნიკური სისტემის კომპიუტერული მართვა და დიაგნოსტიკა, 2017წ. ამდენად საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ლიტერატურა სრულ შესაბამისობაში მოდის მოდულების თემატიკასთან. ექსპერტთა მიერ გათვალისწინებულ იქნა აღნიშნული დოკუმენტაცია და მოდულებში დამატებული სასწავლო ლიტერატურა, რომელიც ელექტრონულად წარმოადგინა დაწესებულებამ. შესაბამისად, შეიცვალა შეფასება და აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც სრულად შესაბამისი.

5. პროგრამას არჩევითი მოდულები არ აქვს.

6. კოლეჯ მოდუსის დირექტორის 2019 წლის 5 აპრილის „კოლეჯ მოდუსის სასწავლო პროცესის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ" #82 ბრძანების(ბოლო ცვლილება #363, 12.12.2022წ) მესამე პუნქტის მეორე და მესამე ქვეპუნქტში გაწერილია პროგრამის შემუშავების და დამტკიცების პროცედურები, რომლის თანახმადაც პროგრამის დამტკიცება ხდება კოლეჯის დირექტორის მიერ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 6 მარტის #44ნ ბრძანებით დამტკიცებულია კოლეჯ მოდუსის წესდება, რომლის მეხუთე მუხლის თ პუნქტის თანახმად, კოლეჯის დირექტორი უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობითა და წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით გამოსცეს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – ბრძანება. „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია კოლეჯის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დირექტორის 2022 წლის 19 დეკემბრის #370 ბრძანებით. შესაბამისად, **ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.**

7. „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრულია შემდეგი სწავლის შედეგები: წაიკითხოს ელექტრონული ნახაზები; გამოიყენოს სარჩილავი სადგური; განახორციელოს საჭის მექანიზმის ელექტრონული მართვის სისტემების სერვისი; განახორციელოს ძრავას ჰაერით და საწვავით კვების ელექტრონული სისტემების სერვისი; განახორციელოს ძრავას შეზეთვა-გაგრილების ელექტრონული სისტემების სერვისი; განახორციელოს უსაფრთხოებისა და გატაცების საწინააღმდეგო სისტემების სერვისი. ექსპერტთა მიერ გაანალიზდა სასწავლო გეგმა, სწავლის შედეგები და მათი **შეფასებით, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.**

8. კოლეჯ მოდუსის დირექტორის 2019 წლის 5 აპრილის „კოლეჯ მოდუსის სასწავლო პროცესის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ #82 ბრძანების(ბოლო ცვლილება #363, 12.12.2022წ) მესამე პუნქტის მეორე და მესამე ქვეპუნქტში გაწერილია პროგრამის შემუშავების და დამტკიცების პროცედურები, აღნიშნულის საფუძველზე კოლეჯის დირექტორი უფლებამოსილია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დაამტკიცოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. კოლეჯ მოდუსის დირექტორის 2022 წლის 19 დეკემბრის #370 ბრძანებით დამტკიცებულია „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“ მესამე დონის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა. პროგრამაში განსაზღვრულია: პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები, პარტნიორი ორგანიზაციების ჩამონათვალი, პროგრამის სტრუქტურა და მოდულები სწავლის შედეგები, ინფორმაცია სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურების, კრედიტების და პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ, ჩანაწერები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლების თაობაზე და პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები. მოდულებში აღნიშნულია შეფასების მიმართულებები, ინფორმაცია მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით, საათების გადანაწილების სქემა, საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი და ინფორმაცია სსსმ სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით. პროგრამას თან ერთვის ზოგადი და პროფესიული მოდულები, ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ, სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების დაცვითა და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის მითითებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“ მოცულობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის 82 კრედიტია, ხოლო პროგრამის მოცულობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის შეადგენს 97 კრედიტს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

შესაბამისად, პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- კოლეჯის მისია და ხედვა ;
- სტრატეგიული გავითარების გეგმა(2019-2025);
- პროგრამის დამატების დასაბუთების დოკუმენტი ;
- სასწავლო პროცესის რეგულირების წესი;
- კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
  საგანამანათლებლო პროგრამა „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“ სასწავლო გეგმა;
  კოლეჯის წესდება.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯ „მოდუსის“ დირექტორის 2021 წლის 12 ნოემბრის #346 ბრძანებით „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამზე მისაღები კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, ცვლილება 2022 წლის 22 მაისის #138 ბრძანება, რომლის თანახმადაც დაწესებულებამ წარმოადგინა „პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის დასაბუთება“. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე განსაზღვრულია 30 პროფესიული სტუდენტით. ინტერვიურებისას დადგინდა, რომ პირველ ეტაპზე დაწესებულება პროგრამაზე მიღებას გამოაცხადებს ორ ცვლად (თვითოეულ ცვლაში 15 ადგილზე). ვიზიტისას განხორციელდა პროგრამის მატერიალური რესურსის და ინფრასტრუქტურის დათვალიერება. გასაუბრება წარიმართება პროგრამის ხელმძღვანელთან და მოდულების განმახორციელებელ პირებთან. ექსპერტთა მიერ ვიზიტისას ვიზუალურად შემოწმდება A, B , C გარემოები. ინტერვიურებისას აღინიშნა, რომ გარემო გამოიყენება ორ ცვლაში. „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის“ მიხედვით, B გარემოში სწავლა შესაძლებელია განხორციელდეს დღეში 12 საათიანი/კვირაში 60 საათიანი დატვირთვით. დაწესებულებამ წარმოადგინა კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 19 დეკემბრის #376 ბრძანებით დამტკიცებული სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა აღნიშნული დოკუმენტი. შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა გაწერილია 6 თვეზე და მოიცავს ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დაგეგმილ აქტივობას განხორციელების პერიოდს, პასუხისმგებელ პირებს, შემსრულებლებისა და სხვა ჩართული მხარეების შესახებ ინფორმაციას,მტკიცებულებებს. თუმცა ვიზიტისას დაწესებულებას უკვე დასრულებული ჰქონდა საჭირო აღჭურვილობის შესყიდვის პროცედურა. ვიზუალური დათვალიერებისას ყველა საჭირო ინვენტარი ადგილზე იყო. კოლეჯმა წარმოადდგინა შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია- ხელშეკრულება და მიღება-ჩაბარების აქტები, რითაც ასევე დასტურდება რომ დაწესებულებამ უზრუნველყო საჭირო მატერიალური რესურსის შეძენა. გარდა ამისა, კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმი პრაქტიკის ობიექტებთან შპს ,,უნი მოტორსი“ 02.12.2022 წ. და შპს ,,ავტოტექნო“ 30.11.2022 წ., პრაქტიკის ობიექტების საკუთრებაში არსებული მატერიალური რესურსი სრულად აკმაყოფილებს პროგრამის მოთხოვნებს სტუდენტთა ზღვრული ოდენობის გათვალისწინებით, პრაქტიკის ობიექტები საჭიროების შემთხვევაში იქნება გამოყენებული სწავლების პროცესში. პროგრამას თან ახლავს განსახორციელებლად აუცილებელი მატერიალური რესურსი, კოლეჯის C გარემოშია განთავსებული, ვიზიტის დროს შემოწმდა მატერიალური რესურსების შესაბამისობა მოთხოვნილი ზღვრულ რაოდენობასთან. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს 19 პროფესიული განათლების მასწავლებელი აქედან 12 ზოგადი მოდულებისთვის, ხოლო 7 პროფესიული მოდულებისთვის. ვიზიტის დროს გადამოწმდა მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების არსებობა და მისი შესაბამისობა კანონმდებლობის მოთხოვნებთან. პროგრამით გათვალისწინებულ პროფესიულ მოდულებს ჰყავთ 4 განმახორციელებელი, ვიზიტის ფარგლებში განმახორციელებელ პერსონალთან გასაუბრების შედეგად დგინდება, რომ პროფესიული მოდულების განმახორციელებელი პერსონალი შეძლებს გაუძღვეს, როგორც თეორიულ ისე პრაქტიკული კომპონენტის შემცველ მოდულებს. შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მოდულის განმახორციელებელის ჩანაცვლება შესაბამისი კომპეტენციის მქონე პროფესიული მასწავლებლით. ,,მსუბუქი ავტომობილის შეკეთება - პროფესიული მოდულის" - ტექნიკური უცხო ენა და სიმბოლოების განმახორციელებლად წარმოდგენილია ინგლისური ენის პროფესიული მასწავლებელი, აღნიშნული მოდულის სწავლის შედეგების: ტექნიკური აბრევიატურებისა და სიმბოლოების განსხვავება; ბლოკ-სქემებისა და პრინციპული სქემების წაკითხვა-ანალიზი; ბლოკებსა და მიკროსქემებზე აბრევიატურებისა და სიმბოლოების ამოკითხვა-გაანალიზება; ტექნიკურ ლიტერატურაში მოცემული მასალების გააზრება, მიღწევა მხოლოდ ინგლისური ენის პედაგოგის კომპეტენციით შეუძლებელია. ექსპერტთა შეფასებით, **პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.**

<u>კოლეჯს მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია მოხდეს ტექნიკური უცხო ენის მოდულზე განმახორციელებლების დუბლირება და დაემატოს პროფესიული მოდულის განმახორციელებელი პირი, რომელსაც ექნება დარგის შესაბამისი კვალიფიკაცია.</u>

3. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა პროგრამის ხელმძღვანელის და ყველა პედაგოგის პირადი საქმის შესწავლა. წარმოდგენილი მასალები დამაკმაყოფილებელია და პედაგოგების კომპეტენცია იძლევა პროგრამის განხორციელების შესაძლებლობას. ამას ადასტურებს შესაბამისი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტაცია: დიპლომები და სერთიფიკატები, ორგანიზაციის მიერ დამოწმებული სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტები, პროგრამის განხორციელებაში ჩართული მასწავლებლების უმეტესობას გავლილი აქვთ ტრენინგი ,,პროფესიული განათლების მასწავლებელთა პედაგოგიური პროგრამის სრული კურსი", რომელიც ორგანიზებულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ და წარმოდგენილია შესაბამისი სერტიფიკატები, აღნიშნული ტრენინგ-კურსის თემატიკის ერთ-ერთი კომპონენტია მოდულური სწავლების თავისებურებები. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.**

4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას ,,მსუბუქი ავტომობილების ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება" ჰყავს შესაბამისი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რაც დასტურდება პირადი საქმის მასალებით, პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

მოვალეობები განსაზღვრულია შესაბამისი დოკუმენტით, კერძოდ • სსიპ - კოლეჯ ,,მოდუს“ - სა და პროგრამის ხელმძღანელს შორის 06.12.2022 წ. დადებული შეთანხმება 57/1. **ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.**

5. ,,მსუბუქი ავტომობილების ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებით განსაზღვრული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ბეჭდური ან ელექტრონული სახით ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. დაწესებულებას აქვს სამკითხველო დარბაზი. სტუდენტებს საჭიროებისამებრ შეუძლიათ სასწავლო რესურსების გამოყენება. ვიზიტის პერიოდში გადამოწმებისას ადგილზე აღმოჩნდა მოდულებში მითითებული სასწავლო რესურსის უმეტესობა არ შეესაბამება მოდულში გაწერილ თემატიკას, შესაბამისად ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურის არსებობა ვერ უზრუნველყოფს კონცენტრაციისა და პროფესიული მოდულების განხორციელებას. ელექტრონული სახითაა წარმოდგენილი კონცენტრაციის მოდულების განსახორციელების პროცესში საჭირო ევროპული, აზიური და ამერიკული ავტომობილების ტექნიკური მომსახურებისა და რემონტის სახელმძღვანელოები უცხოურ ენებზე. თუმცა დამტკიცებულ სასწავლო გეგმაში მითითებული ყველა რესურსია ადგილზე. **შესაბამისად, ექსპერტთა შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.**

6. დაწესებულებას ჰყავს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი. ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის ერთ-ერთი ფუნქციაა, უზრუნველყოს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტთათვის სასწავლო პროცესის და სასწავლო გარემოს მათი ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით განსაზღვრა. დაწესებულებას აქვს მზაობა, რომ, საჭიროების შემთხვევაში, სსსმ პირებს წვდომა ჰქონდეთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებული იქნება სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. მარეგულირებელი დებულებით გაწერილია სასწავლო გარემოს შექმნის მექანიზმები შშმ სტუდენტისთვის, საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის და სპეციალური მომვლელის ჩართვას. ბიბლიოთეკართან ინტერვიუ ადასტურებს იმას, რომ დაწესებულებას საჭიროების შემთხვევაში აქვს მზაობა მოახდინოს სასწავლო რესურსების ადაპტირება. **ექსპერტთა შეფასებით, სსსმ**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

7. პროგრამა ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ. პროგრამის ბიუჯეტის გათვლის დროს გათვალისწინებულია რენტაბელობის ზღვარი. პროგრამის ბიუჯეტის შემოსავლების მთავარი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება, დაწესებულებამ განაცხადით წარმოადგინა პროგრამის განხორციელების საპროგნოზო ბიუჯეტი. **ექსპერტთა შეფასებით, პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

➢ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;

➢ პროფესიული პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები;

➢ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;

➢ შესყიდვის დოკუმენტები-ხელშეკრულება, მიღება-ჩაბარების აქტები.

➢ სასწავლო პროცესის რეგულირების წესი ;

➢ ვიზუალური დათვალიერება;

➢ გასაუბრება.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯ „მოდუსის“ დირექტორის 2021 წლის 5 ნოემბრის #334 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც მოიცავს სისტემურობას და ხარისხის კონტროლის ციკლურ სისტემას -„დაგეგმე - განახორციელე-შეამოწმე და განავითარე“. კოლეჯ მოდუსის დირექტორის 2019 წლის 5 აპრილის „კოლეჯ მოდუსის სასწავლო პროცესის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ #82 ბრძანება(ბოლო ცვლილება #363, 12.12.2022წ), რომელიც ითვალისწინებს არა მარტო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესებს, არამედ პროგრამის შეფასებისა და განვითარების მექანიზმს, პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზს და მასში ცვლილებების განხორციელების წესს და პროცედურებს.

პროგრამის შეფასების მიზნით გამოიყენება უკუკავშირის მექანიზმი. ამ მიზნით კოლეჯში მოქმედებს „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებიში“ ასახული გამოკითხვის მეთოდოლოგია და დანართების სახით წარმოდგენილი კითხვარები, ესენია:

- პროფესიული სტუდენტის კითხვარი ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასების მიზნით;
- პროფესიული განათლების მასწავლებლის კითხვარი ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასების მიზნით;
- დუალური პროგრამების ინსტრუქტორის კითხვარი;
- კითხვარი კურსდამთავრებულებისათვის;
- პარტნიორი ორგანიზაციის კითხვარი ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასების მიზნით.

აღნიშნული ორგხვარები ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს კურსდამთავრებულებისგან და დამსაქმებლებისგან, სოციალური პარტნიორებისგან, პროფესიული სტუდენტების, პროფესიული განათლების მასწავლებლების მოსაზრებებს, პროფესიულ ასოციაციებთან კონსულტაციებს, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

2. კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა დაფუძნებულია დაფუძნებულია დემინგის ციკლზე „დაგეგმე-განახორციელე-გადახედე/ გაუმჯობესე“ მოდელზე. აღნიშნული საკითხი რეგულირდება „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმით“, რომელიც ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან. კოლეჯში ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანერგვის მიზნით არსებობს ხარისხის მართვის მენეჯერის და ხარისხის მართვის სპეციალისტის საშტატო ერთეულები. პროგრამის შეფასება ხორციელდება მეცადინეობებისა და შეფასების პროცესის ანალიზით, პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიულ მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვების საფუძველზე. პროფესიულ სტუდენტთა, მასწავლებელთა გამოკითხვას უზრუნველყოფს ხარისხის მართვის მენეჯერი, ხოლო კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა ხორციელდება პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ, ასევე კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკას აწარმოებს პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი. მათ მიერ შესრულებული სამუშაოების შედეგები გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გასაუმჯობესებლად, სასწავლო პროცესის ხარისხის ასამაღლებლად. **ექსპერტთა შეფასებით, პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
- ფაქტობრივი გარემოება და კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრება.

შეფასება:

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯს შემუშავებული აქვს „ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების“ დოკუმენტი, რომელშიც დანართის სახით დამტკიცებულია „კალენდარული გეგმის“ ფორმა. აღნიშნული ფორმის შესაბამისად პროფესიული განათლების მასწავლებლები მოდულის დაწყებამდე შეიმუშავებენ კალენდარულ გეგმებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმები უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას დაცულია პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობები და პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა. ასევე დაცულია დროის შუალედი განმეორებითი შეფასებისთვის. სასწავლო გეგმები აგებულია პროგრამის განხორციელების თავისებურებების გათვალისწინებით. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.**
2. კოლეჯ მოდუსის დირექტორის 2019 წლის 5 აპრილის „კოლეჯ მოდუსის სასწავლო პროცესის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ #82 ბრძანების(ბოლო ცვლილება #363, 12.12.2022წ) მეშვიდე თავში განსაზღვრულია,რომ დისტანციური სწავლების საჭიროების შემთხვევაში სასწავლო პროცესის ორგანიზების ფორმატი იცვლება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია პროგრამის ხანგრძლივობა სწავლის შედეგების მისაღწევად, თუმცა საჭიროების შემთხვევაში ხდება სასწავლო გეგმის მოდიფიცირება და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება. სასწავლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

პროცესის რეგულირების წესით გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მექანიზმი. **ექსპერტთა შეფასებით, პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.**

3. პროგრამა აღჭურვილია ყველა იმ მატერიალურ-ტექნიკური რესურსით, რაც გათვალისწინებულია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით. პროფესიული განათლების მასწავლებლებს სისტემატიურად უტარდებათ ტრენინგები, სწავლებისა და შეფასების საკითხებზე, როგორც მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ, ასევე, კოლეჯის მართვის მენეჯერის ხემძღვანელობით ტარდება ტრენინგები და საკონსულტაციო შეხვედრები, რაც დასტურდება ცნობებით, სერტიფიკატებითა და ტრენინგებზე დასწრების ფურცლებით. **ექსპერტთა შეფასებით, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.**

4. სასწავლო პროცესის რეგულირების წესის მე-35[1] მუხლით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პროცედურები, რომელიც ითვალისწინებს როგორც მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას . აღნიშნული მექანიზმი გამოიყენება როგორც სსსმ პროფესიულ სტუდენტთან, ასევე საჭიროების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის მობილობისას, სტატუს აღდგენილი პროფესიული სტუდენტისთვის ,მოდიფიცირებულ/ოპტიმიზირებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის გადაყვანისას. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.**

5. დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმები შპს „ავტოტექნოსთან“ და შპს „უნი მოტორსთან“ მემორანდუმები გაფორმებულია 5 წლის ვადით და ითვალისწინებს დამატებითი ხელშეკრულება, რომელშიც დაწვრილებით განისაზღვრება მხარეთა შორის ურთიერთობები. აღნიშნული მემორანდუმების თანახმად, პრაქტიკის ობიექტები იღებენ ვალდებულებას, გააცნონ კოლეჯ მოდუსის სტუდენტებს სამუშაო გარემო და საჭიროების შემთხვევაში პრაქტიკული უნარ-ჩვევები განუვითრონ „მსუბუქი ავტომობილის ელექტრო და ელექტრონული სისტემების შეკეთების“ მიმართულებით. თუმცა ამ ეტაპზე კოლეჯს ადგილზე აქვს პროგრამით გათვალისწინებული ყველა საჭირო აღჭურვილობა. **ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. ექსპერტთა შეფასებით სასწავლო პროცესი ხორციელდება უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით. ექსპერტთა შეფასებით C გარემოში მოთავსებულია პირველადი სამედიცინოო დახმარების ყუთი, ცეცხლმაქრი. გაკრულია მუშაობისა და უსაფრთხოების დაცვის წესები, დაწესებულების შენობა არის უსაფრთხო, კოლეჯ „მოდუსის“ შრომის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია უსაფრთხოების სპეციალისტის ფუნქცია-მოვალეობები. **ექსპერტთა შეფასებით, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტი;
- ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმები;
- სასწავლო პროცესის რეგულირების წესი;
- შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტი.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლეჯ „მოდუსის“ დირექტორის 2022 წლის 08 ნოემბრის #323 ბრძანებით დამტკიცებულია „სსიპ კოლეჯი „მოდუსი“-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლებისას პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესი და პირობები“, რომელიც შემუშავებულია საქართველოს მთავრობის 2022 წლის 09 აგვისტოს N416 დადგენილების შესაბამისად. განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურა, შეფასების ინსტრუმენტის და მტკიცებულებების მიმართ არსებული მოთხოვნები, შეფასების ინსტრუმენტის შემუშავების პროცედურები, ინსტრუმენტების შიდა მონიტორინგის მექანიზმები, შეფასების ადმინისტრირების საკითხები, შეფასების შედეგების პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები, აპელაციის წესი, განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა და წესი, მტკიცებულებების მოპოვებისა და შენახვის წესი. განმეორებით შეფასებასთან დაკავშირებით განსაზღვრულია განმეორებით გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა და რაოდენობა და ვადები, ინფორმაცია გამოყენებული ინსტრუმენტის შესახებ -წერილობითი გამოკითხვის დროს, დახურული ტიპის კითხვების გამოყენების შემთხვევაში ინსტრუმენტი შეცვლილია, ხოლო პრაქტიკული დავალებების შემთხვევაში დატოვებულია შეფასების იგივე ინსტრუმენტი განმეორებით გამოცდის დროსაც. მარეგულირებელი წესი მოიცავს ნამუშევრის გასწორებისა და შეფასების ვადებს. შეფასების სისტემა ეფუძნება სანდოობის, ვალიდურობის, გამჭვირვალობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. შეფასების წესი მოიცავს ინფორმაციას ინტეგრირებული პროგრამების შეფასების შესახებ, რომელიც მოყვანილია შესაბამისობაში „ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების დადასტურების წესის დამტკიცების შესახებ“ განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 19 ივლისის #48/ნ ბრძანებასთან. **ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.**

2. კოლეჯ „მოდუსის“ დირექტორის 2021 წლის 5 ნოემბრის #334 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები, რომელიც მოიცავს ვერიფიკაციის პროცესს, რომლის მიზანია შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესისა და შეფასების შედეგად შექმნილი მტკიცებულების, შეფასების სისტემის მიმართ ავტორიზაციის სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. აღნიშნული მექანიზმი ეფუძნება ვალიდურობის,სანდოობის, გამჭირვალობის, სამართლიანობის და ობიექტურობის პრინციპებს. ვერიფიკაცია ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის ორგანიზებით, რომელიც განსაზღვრავს ვერიფიკაციის განხორციელების განრიგსა და ვერიფიკატორს ან საჭიროების შემთხვევაში- ვერიფიკაციის ჯგუფს, დაწესებულებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

შემუშავებული აქვს ვერიფიკაციის და შეფასების ინსტრუმენტის შერჩევის პროცედურები. **ექსპერტთა შეფასებით, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.**

3. კოლეჯის სასწავლო პროცესის რეგულირების წესის 34-ე მუხლით განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტთა შეფასების დოკუმენტაციის წარმოების წესი. აღნიშნულ დოკუმენტში მტკიცებულებების შენახვის ვადად განსაზღვრულია სტანდარტის შესაბამისად 3 წელი, მტკიცებულებები იძლევა პიროვნების იდენტიფიცირების შესაძლებლობას. ექსპერტებთან გასაუბრებისას ხარისხის მენეჯერმა აღნიშნა, რომ მონაცემები აღირიცხება რეგულარულად როგორც მატერიალური ისე ელექტრონული სახით. დაწესებულებამ გაგვაცნო საკუთარი პრაქტიკა ადგილზე ვიზიტისას სხვა პროგრამების ფარგლებში. **ექსპერტთა შეფასებით, პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.**

4. სასწავლო პროცესის რეგულირების წესით დამტკიცებულია პროფესიულ სტუდენტთა შეფასების წესი, რომლის მიხედვით შეფასების შედეგების შესახებ პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება ხორციელდება ინდივიდუალურად, ხოლო პროფესიული სტუდენტის მხრიდან კონსულტაციის საჭიროების შემთხვევაში, კონსულტაცია ტარდება კონსულტაციის ფორმისა და მითითებული ვადის გათვალისწინებით. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისთვის, რაც დასტურდება ასევე განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებითაც. **ექსპერტთა შეფასებით, აღნიშნული ინდიკატორი დაკმაყოფილებულია და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.**

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ✓ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ✓ ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები;
- ✓ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლებისას პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესი და პირობები;
- ✓ ინტერვიუ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

06.03.2023

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------